განკარგულება:**გ-47.472208910**
თარიღი:**30/03/2022**

განკარგულება N19

დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლის,მათი გადაწყვეტის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 28-ე მუხლის თანახმად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლის, მათი გადაწყვეტის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნას საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2.

1. დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვროს 12 წევრით.

2. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ზაალ მამალაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე

- დავით გუდავაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

- ჯუმბერ ბერძენიშვილი- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

- ვლადიმერ სიხარულიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე

- ზვიადი მამალაძე - სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

- ბიძინა ცინცაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

- აკაკი ყაჭეიშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

- მარინე ბერაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

- ლაშა თოლორდავა - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

- გოგი ბოლქვაძე - ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსთვის“ თავმჯდომარე

- მამუკა ბარამიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარის მოადგილე

- მანანა მინდაძე- საკრებულოს წევრი.

3. მუნიციპალიტეტის მერიიდან სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები:

- მაია კუტუბიძე - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

- მაია გოგოლაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

- ირაკლი ახობაძე - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

- მერაბ ბერძენიშვილი - არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

- ვალერი ყაჭეიშვილი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამასახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

- რომანი კალანდაძე - მერის წარმომადგენელი ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში

- ბექა შენგელია - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

მუხლი 3.

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანია დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში იდენტიფიცირებული პრობლემების შესწავლა, მათი გადაწყვეტის გზების მოძიება და შესაბამისი რეკომენდაციების მიღება

მუხლი 4.

განსაზღვრულ იქნეს გამოსაკვლევ საკითხთა წრე:

- დ. ბახმაროს ტერიტორიული მოწყობის სრულყოფა

- სანებართვო მოსაკრებლების გაცემის რეგულაციები

- უკანონო მშენებლობები, ალპურ საძოვრებზე და სახელმწიფო სატყეოს ფონდში არსებული შენობა-ნაგებობების ლეგალიზაციის საკითხი.

- გადასახადების და მოსაკრებლების შემოღების და ამოღების მდგომარეობის შესწავლა

- მშენებლობის ნებართვის გაცემისას წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა

- დ. ბახმაროში მიწის აუქციონზე გატანის შემაფერხებელი გარემოებების შესწავლა

- ინფრასტრუქტურის განვითარებაში არსებული მდგომარეობის შესწავლა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად

- დ. ბახმაროს ქუჩების დამისამართებების და სახელდებების ხელშეწყობა.

- ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია დაბა ბახმაროში არსებულ პრობლემებთან

მუხლი 5.

1. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადაა 3 თვე,

2. დროებით სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

მუხლი 6.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4 .

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი